საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8110/01
30/07/2021

8110-01-2-202107301800

შპს „დროს“
მის: ქ. ბათუმი, აკ. შანიძის ქ., N 26, ბ. 78
ელ.ფოსტა: tengizmgeladze@mail.ru

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 14 ივლისის სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ღურტას ტერიტორიაზე ქვა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადების თანახმად, საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ღურტას ტერიტორიაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 23.02.37.197). მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. ვინაიდან „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია მიწის სტატუსის შესახებ. ამასთან, წარმოდგენილ დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საწარმოო ჩამდინარე წყლების გაწმენდის შედეგად სალექარში დაგროვილი ლამის მართვის საკითხები;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებული არ არის ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო დანადგარის განთავსების კოორდინატები და მისი ზედაპირული წყლის ობიექტიდან და ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალიდან დაცილების მანძილები;
- სკრინინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოს ექსპლუატაციისას გადამუშავებულ ძირითად ნედლეულს წარმოადგენს ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გაცემული N000435 ლიცენზიის საფუძველზე მოპოვებული ბალასტი. დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული ლიცენზიის ფარგლებში შპს „დრო” უფლებამოსილია ჯამურად მოიპოვოს 24255 m^3

სასარგებლო წიაღისეული. ვინაიდან საწარმოში წლიურად დაგეგმილია 53200 m^3 სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებული უნდა იყოს ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების სხვა წყაროების შესახებ.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე